აგრო დაზღვევის პირობები #AGR/R-001/24

მუხლი 1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანი

1.1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევის კანონიერ მფლობელობაში არსებული მოსავლის დაზღვევა მზღვეველის მიერ წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად, დამზღვევის მიერ შეთანხმებული სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე შემდეგი რისკებისაგან: სეტყვა, წყალდიდობა და ქარიშხალი;

1.2. წინამდებარე პირობების საფუძველზე გაიცემა აგროდაზღვევის პოლისები, რომლებზეც სრულად ვრცელდება წინამდებარე პირობები. ამასთან, ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისების გაცემა ხორციელდება შესაბამისი განაცხადის დამზღვევის მიერ შევსების საფუძველზე. სადაზღვევო პოლისები, შესაბამისი განაცხადები და წინამდებარე პირობები წარმოადგენს ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მზღვეველი - იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის ლიცენზია;

ბ) დამზღვევი - პირი, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი და გაფორმებული აქვს დაზღვევის ხელშეკრულება;

გ) მოსარგებლე – დამზღვევი ან/და დამზღვევის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

დ) სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი, მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც გაიცემა დამზღვევის მიერ შევსებული დაზღვევის განაცხადის და წინამდებარე პირობების საფუძველზე;

ე) დაზღვევის ობიექტი - სადაზღვევო პოლისში მითითებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი, რომელიც მოიყვანება პოლისში მითითებულ მიწის ნაკვეთზე;

ვ) დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურა - სასოფლო სამეურნეო კულტურა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისის „სასოფლო-სამეურნეო კულტურის“ გრაფაში;

ზ) დაზღვევის პერიოდი – სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია, წინამდებარე დაზღვევის პირობების/შეზღუდვების და მოცდის პერიოდის გათვალისწინებით;

თ) მოცდის პერიოდი – სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 4 დღიანი უწყვეტი კალენდარული პერიოდი, რომლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო რისკის შედეგად მიყენებული ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას;

ი) დაზღვევის განაცხადი – მოსავლის დაზღვევის განაცხადი, რომელსაც ავსებს დამზღვევი დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და რომელიც წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დადების საფუძველსა და მის განუყოფელ ნაწილს;

კ) დაზღვევის ხელშეკრულება – წინამდებარე პირობების, სადაზღვევო პოლისისა და დაზღვევის განაცხადის ერთობლიობა;

ლ) სადაზღვევო ლიმიტი - სადაზღვევო პოლისით დადგენილი მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა;

მ) დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტი – სადაზღვევო ლიმიტის პროცენტი, რომელიც განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის შეფარდებით დაზღვეულ ტერიტორიასთან;

ნ) დაზღვეული ტერიტორია (ნაკვეთი) - მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი, რომლის მონაცემები (საკადასტრო კოდი ან/და GPS კოორდინატი ან/და აზომვითი ნახაზი), ადგილმდებარეობის მისამართი და ფართობი მითითებულია სადაზღვევო პოლისში დამზღვევის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის ინფორმაციულ უტყუარობაზეც სრულად პასუხისმგებელია დამზღვევი, გარდა GPS კოორდინატის მონაცემებისა, რომლის მიწოდებაზეც პასუხისმგებელია მზღვეველი;

ო) სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც გადაიხდება სადაზღვევო მომსახურების გაწევისათვის.

პ) ფრანშიზა - არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომლის გამოქვითვა ხორციელდება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის. ფრანშიზა გამოითვლება როგორც სადაზღვევო ლიმიტის 10% (ციტრუსის შემთხვევაში – სადაზღვევო ლიმიტის 15%, ასევე ხეხილოვან კულტურებში ქარიშხლის რისკით მიყენებული ზიანის შემთხვევაში 15%) ან მისაღები მოსავლის ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშებისას გამოყენებულ ფასზე გამრავლებით მიღებული ღირებულების 10% (ციტრუსის შემთხვევაში – 15%, ასევე ხეხილოვან კულტურებში ქარიშხლის რისკით მიყენებული ზიანის შემთხვევაში 15%). მითითებული 2 სიდიდიდან გამოიქვითება ის ოდენობა,

რომელიც უფრო მცირე იქნება. ჟ) სადაზღვევო რისკი - ამ პუნქტში მითითებული მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანი ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით:

ჟ.ა) სეტყვა – ატმოსფერული ნალექები ყინულის წარმონაქმნების სახით (მცირე მარცვლიდან მსხვილი კვერცხისოდენა ზომის წარმონაქმნამდე), რომლებიც, როგორც წესი, ზაფხულში თან ახლავს კოკისპირულ წვიმას ან ჭექა-ქუხილს. სეტყვა იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანებას ან განადგურებას მცენარეთა მიწისზედა ორგანოებზე უშუალო მექანიკური ზემოქმედების შედეგად;

ჟ.ბ) წყალდიდობა - დაზღვეული კულტურის მიწისზედა და მიწისქვეშა ორგანოებზე მექანიკური ზემოქმედების შედეგად დაზიანება/განადგურება, კერძოდ გადარეცხვა, მოხსნა/მოგლეჯა სახნავი ფენიდან, რომელიც გამოწვეულია უხვი ნალექების შედეგად, წყალმოვარდნის ან/და ღვარცოფული ნაკადის მიერ;

ჟ.გ) ქარიშხალი – ქარი სიჩქარით 20 მ/წმ ან მეტი, რომელიც იწვევს მცენარეების მექანიკურ დაზიანებებს;

რ) სადაზღვევო შემთხვევა - სადაზღვევო რისკების ხდომილების შედეგად დაზღვევის ობიექტისათვის ზიანის მიყენება, რომლის საფუძველზეც წინამდებარე პირობების თანახმად წარმოიშობა მზღვეველის პასუხისმგებლობა, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

ს) მისაღები მოსავალი – მოსავალი, რომელიც მითითებულია დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტში, როგორც მოსავალი რომელსაც დამზღვევი/ მოსარგებლე მიიღებდა ადგილი რომ არ ჰქონოდა სადაზღვევო რისკის ხდომილებას;

ტ) სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი - დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით წარმოდგენილი ხელმოწერილი განაცხადი, რომლითაც დამზღვევის მიერ აღწერილია სადაზღვევო შემთხვევის ნიშნების მატარებელ მოვლენასთან დაკავშირებული გარემოებები და მოთხოვნილია სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი წარმოადგენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენისთვის აუცილებელ დოკუმენტს;

უ) დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი - დოკუმენტი, რომელიც დგება მზღვეველის (ან მზღვეველის მიერ მოწვეული ექსპერტი) მიერ და რომელსაც ხელს აწერენ მზღვეველი და დამზღვევი/ მოსარგებლე და რომლითაც დასტურდება დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) მზღვეველის მიერ დათვალიერებისა და კონკრეტული შემთხვევის ხდომილებით გამოწვეული ზიანის ოდენობა. დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი დგება ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამზღვევს/მოსარგებლეს, ხოლო მეორე რჩება მზღვეველთან;

ფ) სადაზღვევო ანაზღაურების აქტი – დოკუმენტი, რომელიც დგება მზღვეველის მიერ და ხელს აწერს მზღვეველი და დამზღვევი / მოსარგებლე და რომელიც დგება დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტ(ებ)ისა და ასეთი აქტ(ებ)ით დადგენილი ზიანის ოდენობისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე და განსაზღვრავს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების გამო გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ოდენობას; სადაზღვევო ანაზღაურების აქტი დგება ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამზღვევს/მოსარგებლეს, ხოლო მეორე რჩება მზღვეველთან; სადაზღვევო ანაზღაურების აქტი წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს, წინამდებარე პირობების შესაბამისად;

ქ) სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელსაც მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უხდის მოსარგებლეს წინამდებარე პირობებით დადგენილი წესითა და პირობებით ზიანის ასანაზღაურებლად;

ღ) ხარისხობრივი დანაკარგი - დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო რისკის ხდომილების შედეგად დაზღვეულ ტერიტორიაზე არსებული მოსავლის/კულტურის თვითღირებულების შემცირებით და რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას;

ყ) **დისტანციურად დადებული ხელშეკრულება** - დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის დადება განხორციელდა მზღვეველსა და მომხმარებელს შორის, მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით;

შ) **სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება** – დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მზღვეველსა და დამზღვევს შორის სარეწის გარეთ და მოითხოვს მათ ფიზიკურ თანაყოფობას; ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც დამზღვევმა ხელშეკრულების დადების შესახებ ინდივიდუალური შეთავაზება უშუალოდ მიიღო მზღვეველისაგან სარეწის გარეთ, მზღვეველისა და დამზღვევის ფიზიკური თანაყოფობისას.

მუხლი 3. სადაზღვევო ანაზღაურების პირობები

3.1. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში და ფრანშიზის გამოკლებით, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის დადგომის შედეგად დაზღვევის ობიექტის დაზიანების შემთხვევაში წინამდებარე პირობებით დადგენილი წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

3.2. ზიანის დარეგულირების პროცესში გასაფორმებელი დოკუმენტაციაა:
ა) დამზღვევის მიერ შედგენილი და მზღვეველთან წარდგენილი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი;
ბ) დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი - რომელიც შედგება მზღვეველის მიერ შემუშავებული ფორმით;
გ) სადაზღვევო ანაზღაურების აქტი - რომელიც შედგება მზღვეველის მიერ შემუშავებული ფორმით.
3.3. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის შეფასება თითოეული კულტურის მიხედვით მოხდება მზღვეველის მიერ დადგენილი წესით.
3.4. დაზღვევის პირობების შესაბამისად ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია:
ა) საყოველთაოდ აღიარებული სასოფლო–სამეურნეო და მოსავლის აღების პრაქტიკის (რომელიც სრულად შეესაბამება კონკრეტული მიკრო ზონას და აგრო კულტურას) დაუცველობით;
ბ) დაუზღვეველი რისკებით, მაშინაც კი, თუ ასეთი ზიანი დადგა სადაზღვევო რისკთან ერთად ან მასთან კავშირში. მიყენებული ზიანი ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიყენებულია უშუალოდ სადაზღვევო რისკ(ებ)ის შედეგად;
გ) დამზღვევის/მოსარგებლის ან მისი წარმომადგენლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მათ შორის დამზღვევის/მოსარგებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოსავლის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით ყველა გონივრული ზომის გამოუყენებლობა ზიანის დადგომისას ან მის შემდეგ.
3.5. მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება ასევე:
ა) ზიანი, რომელიც დადგა შემდეგი გარემოებების დროს, ასეთი გარემოებების ფონზე ან მათთან კავშირში:
ა.ა) დაავადებათა, მწერთა და მღრღნელთა გავრცელება, დაგვიანებული მწიფობა და სხვა;
ა.ბ) ზიანი, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ფრანშიზას;
ა.გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის მიყენებული დაზიანებები, თუ ასეთი დაზიანებები არ იწვევს ასეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის დაღუპვას/განადგურებას/დანაკარგს;
ბ) ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო ომით, მასობრივი არეულობით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლინებით, ისეთი სტიქიური/ბუნებრივი მოვლენებით, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე პირობებით დაზღვეულ რისკებს, ასევე ამ გარემოებების დროს დამდგარი სადაზღვევო რისკებით გამოწვეული ზიანი.
გ) ზიანი, რომელიც მიყენებულ იქნა მოცდის პერიოდის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო რისკის ხდომილების შედეგად;
დ) ზიანი, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის ობიექტის ხარისხობრივი დანაკარგით;
3.6. მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან თუ დამზღვევმა/ მოსარგებლემ დაარღვია დაზღვევის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.
3.7. მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
3.8. ამასთან, მიუხედავად იმისა თუ რა ოდენობის ფაქტობრივი მოსავალი მიიღო ან მიიღებს დამზღვევი დაზღვეულ ნაკვეთზე, მზღვეველის პასუხისმგებლობას ანაზღაურების გაცემასთან მიმართებაში წარმოადგენს, უშუალოდ დაზღვეული რიკ(ებ)ის მიერ გამოწვეული დაზიანების ოდენობა, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში. არ ანაზღაურდება დაუზღვეველი რისკებით ან ნებისმიერი სხვა არასადაზღვევო ფაქტორით (მათ შორის: დაბალ მოსავლიანობა) განპირობებული სხვაობა ფაქტობრივად მიღებულ მოსავალს და დაზღვეულ მოსავალს შორის.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი და პირობები

4.1. დამზღვევის მიერ ყოველი კონკრეტული სადაზღვევო პოლისის მიხედვით მზღვეველის სასარგებლოდ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის, შესაბამისი სადაზღვევო თანხის, მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტების და სადაზღვევო ტარიფის მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისით დამზღვევის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული განაცხადი-ანკეტის მონაცემთა საფუძველზე.
4.2. შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე, მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.
4.3. სადაზღვევო პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის

შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება/პოლისი.

მუხლი 5. დაზღვევის მოქმედების პირობები

5.1. დაზღვევის მოქმედების პერიოდში ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ მზღვეველის ვალდებულება ძალაში შედის:

ა) ერთწლიანი კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ რაც ნაკვეთზე ჩატარებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აგროწესებითა და აგროვადებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურის 90% თანაბრად აღმოცენებულია და იმყოფება სავეგეტაციო პერიოდის მიწისზედა ორგანოების (მინიმუმ 10 სმ) განვითარების ფაზაში და მოქმედებს მოსავლის აღებამდე; სანერგე მასალის (ჩითილი) დარგვის შემთხვევაში – სანერგე მასალის (ჩითილის) ღია გრუნტში გადარგვიდან არაუადრეს 10 კალენდარული დღისა.

ბ) მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ რაც:

ბ.ა) ხილი – დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ–ს დიამეტრში, გარდა ბლისა, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაშიც დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ–ს დიამეტრში;

ბ.ბ) კენკრა – მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქზე;

ბ.გ) ყურძენი - გამოტანილია მტევანი (როდესაც მტევანი გაშლილი და ვიზუალურად გარჩევადია).

მუხლი 6. დაზღვევის მოქმდების შეწყვეტა

6.1. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

ბ) სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;

გ) მოსავლის სრულად აღება დაზღვეული ტერიტორიიდან;

დ) მოსავლის ტექნიკური სიმწიფის დასრულება;

ე) მოსავლის ან სარგავი მასალის (ჩითილი) სრული განადგურება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა ან/და დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6.2. ამასთან, დაზღვევის ნებისმიერი ზემოხსენებული მიზეზით შეწყვეტისას დამზღვევის მიერ გადახდილი გამოუმუშავებელი პრემია დამზღვევისთვის დაბრუნებას არ ექვემდებარება, განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას კი გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება დამზღვევის მიერ სრულად დაფარვას.

6.3 დამზღვევი უფლებამოსილია, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე: დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარეწის გარეთ დადების შემთხვევაში – მისი დადებიდან 14 დღის ვადაში.

6.3.1. დამზღვევი არ არის უფლებამოსილი, წინამდებარე პირობების 6.3 პუნქტის საფუძველზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და, შესაბამისად, ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება :

ა) სადაზღვევო ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელთა მოქმედების ვადა უარის თქმის პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

6.4 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები:

6.4.1. დაზღვევის პირობების 6.3 პუნქტის საფუძველზე, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ დისტანციური ხელშეკრულებით ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ;

6.4.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში,

6.4.2.1. მზღვეველი ვალდებულია:

ა) დამზღვევს გადახდილი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნოს სრულად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში. მზღვეველი ვალდებული არ არის, დამზღვევს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც

დაკავშირებულია დამზღვევის მიერ არასტანდარტული ან მზღვეველის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან;

ბ) თანხა აანაზღაუროს გადახდის იმავე საშუალებებით, რომელიც დამზღვევმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

მუხლი 7. ზიანის ანაზღაურება

7.1. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე, ხოლო დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის დაზიანების შემთხვევაში – დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე. ამასთან, მზღვეველის მიერ წინამდებარე პუნქტში მითითებული წესით გაანგარიშებულმა სადაზღვევო ანაზღაურებამ არ უნდა გადააჭარბოს რეალური ზიანის ოდენობას, მითითებული ორი სიდიდიდან იმ თანხას, რომელიც უფრო მცირე იქნება: სადაზღვევო რისკების ხდომილების შედეგად განადგურებული მოსავლის რეალურ ღირებულებას ან ნორმატიული ფასის მიხედვით გაანგარიშებულ ღირებულებას, თუ მზღვეველსა და დამზღვევს ან მოსარგებლეს შორის სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული.

7.2. მზღვეველის პასუხისმგებლობა მცირდება მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით.

7.3. განადგურებული მოსავლის რეალური ღირებულების გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

ა) მიმდებარე ტერიტორიებიდან ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების პერიოდში მისი საშუალო საბაზრო ფასი;

ბ) სადაზღვევო შემთხვევის დღისათვის განსაზღვრული მისაღები მოსავალის ოდენობა.

7.4. როდესაც დაზღვეული ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი დაზიანებულია დაზღვეული რისკის შედეგად იმდენად, რომ მიკრო–კლიმატური ფაქტორების და დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით მიზანშეწონილია გადათესვა/გადარგვა, მზღვეველი აანაზღაურებს გადარგვა/გადათესვის დადასტურებულ ხარჯებს, მაგრამ არაუმეტეს დაზღვეულის ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტის 20 % –სა. ასეთ შემთხვევაში ტერიტორიის ამ ნაწილთან მიმართებაში დაზღვევა წყდება. დარჩენილ დაზღვეულ ტერიტორიასთან მიმართებაში სადაზღვევო ლიმიტი მცირდება პროპორციულად;

7.5. თუ გადათესვა/გადარგვა მიზანშეწონილია, მაგრამ დამზღვევი გადაწყვეტს, არ განახორციელოს გადათესვა/გადარგვა, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას დაზღვეულის ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტის 15 % –ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში ტერიტორიის ამ ნაწილთან მიმართებაში დაზღვევა წყდება. დარჩენილ დაზღვეულ ტერიტორიასთან მიმართებაში სადაზღვევო ლიმიტი მცირდება პროპორციულად;

7.6. დამზღვევი უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიიდან აიღოს მოსავალი მზღვეველთან ზიანის ოდენობაზე დადებული წერილობითი შეთანხმების გაფორმების შემდეგ.

7.7. თუ აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ტერიტორიიდან მისაღები მოსავლის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე პოლისში დაფიქსირებული სადაზღვევო ლიმიტი, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა პროპორციულად შემცირდება.

7.8. თუ ერთი დაზღვევის ობიექტი დაზღვეულია რამდენიმე მზღვეველის მიერ, კონკრეტული მზღვეველის მიერ გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო დაფარვის მთლიან მოცულობაში მისი წილის პროპორციულად.

7.9. თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის დაზიანების პროცენტზე შეთანხმება, შეჩერდება ზიანის დარეგულირება ამ მაჩვენებლის დადგენამდე. ასეთ შემთხვევაში მხარის ინიციატივით შესაძლებელია, დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა/მოწვეული იქნას დამოუკიდებელი, აკრედიტებული ექსპერტი, რომელთან დაკავშირებული ხარჯს აანაზღაურებს ის მხარე, რომლის ინიციატივითაც ტარდება დამატებითი ექსპერტიზა.

7.10 სადაზღვევო შემთხვევის დადგომის (იმ მოვლენის დადგომისას, რომელიც ატარებს სადაზღვევო შემთხვევის ნიშნებს) შემთხვევაში, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია:

ა. შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე მზღვეველს შემთხვევის დადგომიდან 72 საათის განმავლობაში სატელეფონო ზარით. ამავდროულად, 5 სამუშაო დღეში, ტელეფონით ან ელექტრონულად მზღვეველთან დააზუსტოს შემდეგი ინფორმაცია: დამზღვევის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი, სადაზღვევო პოლისის ნომერი, დამზღვევის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, დაზღვეული დაზიანებული ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ფართობი და განხორციელებული რისკი. მზღვეველი დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, 30 კალენდარული დღის ვადაში ციტრუსოვანი კულტურების შემთვევაში, ადგენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტს. ამასთან , ერთი დაზღვეული რისკის ხდომილების შედეგად კონცენტრირებულ გეოგრაფიულ ერთეულზე (მუნიციპალიტეტი) მზღვველის მოცულობითი პორტფელის

51 % და მეტი ნაკვეთების დაზიანების შემთვევაში შესაძლებელია დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენის ვადა გაგრძელდეს არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღემდე.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მოსავლის აღების პერიოდისთვის მზღვეველს, დამზღვევს/მოსარგებლეს შორის მიღწეული არ არის შეთანხმება მოსავლის დანაკარგის ოდენობაზე ან სადაზღვევო რისკის ხდომილებას ადგილი ჰქონდა მოსავლის აღების პერიოდში, მზღვეველის წერილობითი თანხმობით დამზღვევი უფლებამოსილია აიღოს მოსავალი მზღვეველის წარმომადგენლის ადგილზე მისვლამდე და დატოვოს „სანიმუშო ზოლები“, ერთწლიანი კულტურების შემთხვევაში – დაზღვეულ ტერიტორიაზე ორი სრული რიგი, ხოლო მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში – თითოეულ ჰექტარზე ერთი სრული რიგი თითოეული ჰექტარის ცენტრალურ ნაწილში. თუკი დაზღვეული ტერიტორიის ფართობი შეადგენს ერთნახევარ ჰექტარს ან ერთნახევარ ჰექტარზე ნაკლებია, დამზღვევი ვალდებულია დატოვოს ერთი სანიმუშო ზოლი დაზღვეული ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში. ამავდროულად, დამზღვევი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს დაზღვეული ტერიტორიიდან აღებული მოსავლის რაოდენობა კილოგრამებში, ფართობი, საიდანაც აღებულ იქნა მოსავალი, ჩატარებული კრეფების ჯერადობა, მრავალწლიანი ნარგავების შემთხვევაში - დაკრეფილი ხეების/ნარგავების რაოდენობა, მოახდინოს ასაღები და აღებული მოსავალის ფოტოგრაფირება, თარიღის მითითებით.

მუხლი 8. მზღვეველისა და დამზღვევის უფლება–მოვალეობები

8.1 დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია:

ა) გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესით;

ბ) მიაწოდოს მზღვეველს სწორი და უტყუარი ინფორმაცია დაზღვევის განხორციელებისათვის განაცხადის შევსების გზით;

გ) თუ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ადგილი ექნება რაიმე არსებით ცვლილებებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას განცხადებულ ინფორმაციაში, დაუყონებლივ (მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა) წერილობითი განცხადების საშუალებით შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მზღვეველს;

დ) უზრუნველყოს მზღვეველის ინფორმირება შემთხვევის შესახებ, წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით.

ე) მიღოს ყველა გონივრული ზომა სადაზღვევო შემთხვევის თავიდან ასაცილებლად და/ან შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის შესამცირებლად;

ვ) მიაწოდოს მზღვეველს სადაზღვევო ინტერესის დამდასტურებელი და სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობის დასადგენად საჭირო ყველა დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების აქტის შედგენის აუცილებელ საფუძველს;

ზ) არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ მიაწოდოს მზღვეველის მცდარი ან ყალბი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

თ) ხელი შეუწყოს მზღვეველს შემთხვევის გარემოებების გამოკვლევაში და მიანიჭოს მზღვეველს უფლება გამოითხოვოს დამზღვევის შესახებ შემთხვევასთან ან/და სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ნებიმიერი ფიზკური და იურდიული პირების ასევე სახელმწიფო დაწესებულებებისაგან.

8.2 დამზღვევი/ მოსარგებლე უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

ბ) სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიიდან აიღოს მოსავალი მზღვეველთან ზიანის ოდენობაზე დადებული წერილობითი შეთანხმების გაფორმების შემდეგ;

8.3 მზღვეველი უფლებამოსილია:

ა) დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ნებისმიერ დროს, თავად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, მოახდინოს დაზღვეული ტერიტორიის შემოწმება. შემოწმების შედეგად შეადგინოს დათვალიერების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მზღვეველი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი და დამზღვევი/მოსარგებლე;

ბ) მოსთხოვოს დამზღვევს ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის, სადაზღვევო ინტერესის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის;

8.4. მზღვეველი ვალდებულია:

ა) თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის დაზიანების პროცენტზე შეთანხმება, შეაჩეროს ზიანის დარეგულირება ამ მაჩვენებლის დადგენამდე. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა/მოწვეულ იქნას დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელთან დაკავშირებული ხარჯი ანაზღაურდება თანაბრად.

ბ) სადაზღვევო შემთხვევის/ზიანის დადგომის შესახებ შეტყობინების მიღებიდან და დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში უზრუნველყოს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენა ხოლო შემდგომ, დამზღვევის მხრიდან ყველა სათანადო დოკუმენტაციის მიწოდებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად აუცილებელი ინფორმაციის (მათ შორის მიმდებარე ტერიტორიებიდან ანალოგიური სასოფლო–სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების პერიოდში

შესაბამისი კულტურის საშუალო საბაზრო ფასი მინდვრიდან შესყიდვისას და სადაზღვევო შემთხვევის დღისათვის განსაზღვრული მისაღები მოსავლის ოდენობა) მიღების საფუძველზე უზრუნველყოს სადაზღვევო ანაზღაურების აქტის შედგენა. სადაზღვევო ანაზღაურების აქტი დგება 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამზღვევს/მოსარგებლეს, ხოლო მეორე რჩება მზღვეველთან.

გ) აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიღებული ზიანი მზღვეველის და დამზღვევის/მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 9. რეგრესის წესი

9.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში. დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

9.2.დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომელიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

მუხლი 10. დავა, ზიანის ანაზღაურება

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. დაზღვევის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge. „დაზღვევის მედიაციის“ მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს 10.1. პუნქტის შესაბამისად.

10.3. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.

11.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებანი წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.2. დაზღვევის ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

12.3. დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

12.4. დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, დაზღვევის პოლისზე განაცხადზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს “ საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს” (რეგისტრირებული მთაწმინდა-

კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

12.5. დაზღვევის ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე;